ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4290076

ნომერი: AR1642371

თარიღი : 06.11.2018

გაცემის თარიღი : 04.12.2018

გაცნობის თარიღი : 05.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მეფე მირიანი , N 70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირმა ბურდული პ/ნ 01010006828
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 7 ბ. 48ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ ხერხდება არსებული და საპროექტო ნახაზების ერთმანეთთან შედარება. საჭიროა ნახაზები (არსებული და საპროექტო) წარმოადგინოთ ერთნაირად დაღერძილი და დანომრილი სახით (მიუთითეთ შესაბამისი ექსპლიკაციები). წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად იცვლება მთლიანი შენობის გეგმარება, რაც არ წარმოადგენს პირველი კლასის სამუშოებს. როგორც ტექსტურ ნაწილში აფიქსირებთ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ითვალისწინებს მხოლოდ ფასადის სარემონტო-მოსაპირკეთებელ სამუშაოებს და ღიობების განთავსებას. საჭიროა აღნიშნული აისახოს საპროექტო დოკუმენტაციაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახური თქვენს მოთხოვნას პირველი კლასის კუთხით ვერ დააკმაყოფილებს.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.